საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 60 2019 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – წამლის სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე

1. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – წამლის სააგენტოსათვის დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, არ გავრცელდეს შეზღუდვები და მიეცეს თანხმობა, რომ „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის მართვის“ პროგრამის (პროგრამული კოდი: 27 01 02 03 01) ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა განსაზღვროს არა უმეტეს 31 ერთეულით, მათ შორის:

ა) დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით – 25 ერთეულით;

ბ) არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით – 6 ერთეულით (არა უმეტეს 6 თვის ვადით).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**